გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მარლენ ნადირაძის

2021 წლის 03 დეკემბრიდან 2022 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით გაწეული საქმიანობის

ა ნ გ ა რ ი შ ი

2021 წლის 03 დეკემბრიდან 2022 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით დავესწარი გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 13 სხდომას და მონაწილეობა მივიღე 202 საკითხის განხილვაში.

ამავე პერიოდში დავესწარი საკრებულოს ბიუროს 9 სხდომას და მონაწილეობა მივიღე 182 საკითხის განხილვაში.

ვარ საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიულ საქართველოს" წევრი. დავესწარი აღნიშნული ფრაქციის 10 სხდომას და მონაწილეობა მივიღე 157 საკითხის განხილვაში.

ამავდროულად ვარ საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის წევრი. დავესწარი აღნიშნული კომისიის 7 სხდომას და მონაწილეობა მივიღე 27 საკითხის განხილვაში.

ასევე ვარ საკრებულოს ქონების მართვის, ბუნებრივი რესურსების, აგრარულ და მიწის საკითხთა კომისიის წევრი. დავესწარი კომისიის 5 სხდომას და მონაწილეობა მივიღე 41 საკითხის განხილვაში.

როგორც საკრებულოს წევრი, გორის მუნიციპალიტეტის მერიაში წარმოვადგენ სოფლის მხარდაჭერის პროგრამის საკითხებზე მოსახლეობასთან ურთიერთობის და საპროექტო წინადადებების მიღებაზე უფლებამოსილ პირს და, ამავე დროს, ვარ აღნიშნულ საკითხზე გორის მუნიციპალიტეტის მერის ინიციატივით შექმნილი სამუშაო ჯგუფის წევრი და აქტიურად ვმონაწილეობ აღნიშნული სამუშაო ჯგუფის მუშაობაში.

ამასთანავე, ვარ გორის მუნიციპალიტეტის მერის ინიციატივით შექმნილი სამოქალაქო ბიუჯეტის საბჭოს შემადგენლობაში და გორის მუნიციპალიტეტის 2023-2026 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადების სამუშაო ჯგუფში.

საანგარიშო პერიოდში სისტემატიურად მიწევდა და მიწევს სამუშაო რეჟიმში მუნიციპალიტეტის საკრებულოში ვიზიტად მოსულ მოქალაქეებთან შეხვედრა, ასევე მოსახლეობას სისტემატურად ვხვდები გასვლით შეხვედრებზეც, როგორც საზოგადოებრივ, ასევე ინდივიდუალურ საკითხებზე.

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, როგორც საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ვარ სამხარეო საკონსულტაციო საბჭოს წევრი და აქტიურად ვიღებ მონაწილეობას აღნიშნული საბჭოს მუშაობაში.

ასევე აქტიურად ვიყავი ჩართული გორის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის ფორმირების პროცესში. კერძოდ:

ბიუჯეტის განხილვისას ჩემს მიერ ოფიციალურად გამოთქმული შენიშვნების გათვალისწინებით, საანგარიშო წლის განმავლობაში მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის რამოდენიმე მუხლში გათვალისწინებული თანხები გაიზარდა გარკვეული რაოდენობით, კერძოდ:

- ბიუჯეტის პროექტით, საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარებაში (პროგრამის კოდი: 02.01) გზების მოვლა-შენახვის ქვეპროგრამით (კოდი 02.01.01) გათვალისწინებული იყო 300 000

ლარი, რომელიც ბიუჯეტში განხორციელებული ცვლილებების შედეგად გაიზარდა 600 000 ლარამდე.

- ბიუჯეტის პროექტით, საბინაო ფონდის განვითარებისა და ინფრასტრუქტურული პროექტების თანადაფინანსებაში (პროგრამის კოდი 02.04) ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების და ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების მესაკუთრეთა გაერთიანებების თანადაფინანსების ქვეპროგრამით (კოდი: 02.04.01.) გათვალისწინებული იყო 333 000 ლარი, რომელიც ბიუჯეტში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, გაიზარდა 1 067 000 ლარამდე.
- ბიუჯეტის პროექტით, ასევე საბინაო ფონდის განვითარებისა და ინფრასტრუქტურული პროექტების თანადაფინანსების ქვეპროგრამით (კოდი: 02.04.02.) გათვალისწინებული იყო 72 000 ლარი, რომელიც ბიუჯეტში განხორციელებული ცვლილებების შედეგად გაიზარდა 515 000 ლარამდე.
- ბიუჯეტის თავდაპირველი პროექტით, ინფრასტრუქტურული პროექტების მომსახურების უზრუნველყოფაში (პროგრამის კოდი: 02.06.) დეფექტური აქტების, პროექტებისა და ხარჯთაღრიცხვების მომსახურების დაფინანსების ქვეპროგრამით (კოდი 02.06.02.) გათვალისწინებული იყო 150 000 ლარი, რომელიც ბიუჯეტში განხორციელებული ცვლილებების შედეგად გაიზარდა 500 000 ლარამდე.
- ბიუჯეტის ასევე თავდაპირველი პროექტით, მოსახლეობის სოციალურ უზრუნველყოფაში (პროგრამის კოდი: 06.02.) საერთოდ არ იყო გათვალისწინებული გორის მუნიციპალიტეტში მცხოვრები იმ ოჯახების დახმარების საკითხი, რომლებიც დახმარების თხოვნის მომენტში, სხვადასხვა მიზეზების გამო, განიცდიან უკიდურეს გასაჭირს. ჩემს მიერ გამოთქმული შენიშვნის შემდეგ, გორის მუნიციპალიტეტის მერის ინიცირებით ბიუჯეტის აღნიშნულ პროგრამას დაემატა ქვეპროგრამა ასეთი ოჯახების დასახმარებლად (კოდი: 06.02.19) და ერთჯერადი დახმარების თანხის ზედა ზღვარი განისაზღვრა 1500 ლარით. ბიუჯეტში და სოციალური დახმარების გაცემის წესში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, აღნიშნული ქვეპროგრამით მიმდინარე წელს უკვე გაიცა 70 500 ლარი.

ასევე, ჩემი წინადადებების შედეგად, აღნიშნულ საანგარიშო წელში, მუნიციპალიტეტის მერიის მიერ განხორციელდა სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტი. კერძოდ:

- ქ. გორში, წმინდაწყლის დასახლებაში, გაუქმებული #2 სათავის ტერიტორიაზე სადრენაჟე სისტემის მოწყობის სარეაბილიტაციო სამუშაოები - პროექტის ღირებულება : 999 982, 14 ლარი.
- ქ. გორში, წმინდაწყლის დასახლებაში, ელიოზიშვილის ქუჩაზე მრავალსართულიანი სახლების მიმდებარედ სკვერის, საბავშვო ატრაქციონების და სპორტული მოედნის მოწყობა 2 ეტაპად. პროექტის სრული ღირებულება: 139 756,95 ლარი.
- გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ტინისხიდში სკოლასთან მისასვლელ გზაზე (658 მეტრი) ასფალტის საფარის მოწყობა - პროექტის ღირებულება: 563 000 ლარი.
- გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ტინისხიდში სასაფლაოსთან მისასვლელ გზაზე (680მეტრი) რკინა-ბეტონის საფარის მოწყობა – პროექტის ღირებულება: 342 388, 14 ლარი.
- გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ტინისხიდში ადმინისტრაციული შენობის რეაბილიტაცია - პროექტის ღირებულება : 122 000 ლარი.

- სამოქალაქო ბიუჯეტის ფარგლებში ასევე გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ტინისხიდში სკვერის და სავარჯიშო ტრენაჟორების მოწყობა - პროექტის ღირებულება : 50 000 ლარი.
- სოფლის მხადაჭერის პროგრამის ფარგლებში, ასევე გორის მუნიციპალიტეტუის სოფელ ტინისხიდში მცირე სკვერის და საბავშვო ატრაქციონების მოწყობა - (მიმდინარე პროექტი) - პროექტის ღირებულება : 20 000 ლარი.
- ასევე, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ტინისხიდში ავტობუსის გაჩერების შენობის რეაბილიტაცია - პროექტის ღირებულება - 20 000 ლარი.
- სოფლის მხადაჭერის პროგრამის ფარგლებში, გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ორთარშენში სოფლის სასაფლაოს ნაწილობრივი შემოღობვა - (მიმდინარე პროექტი) - პროექტის ღირებულება: 16 000 ლარი.
- ასევე სოფლის მხადაჭერის პროგრამის ფარგლებში, გორის მუნიციპალიტეტის სოფელ თედოწმინდაში სკვერის და საბავშვო ბაღის ატრაქციონების მოწყობა - (მიმდინარე პროექტი) - პროექტის ღირებულება: 30 000 ლარი.

და ბოლოს, მიმდინარე ეტაპზე გორის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახურები მუშაობენ ჩემი წინადადებით დაყენებული რამოდენიმე ინფრასტრუქტურული და სოციალური პრობლემის მოსაგვარებლად საჭირო პროექტების მომზადებაზე. აღნიშნული პროექტების განხორციელება მოხდება 2023 წლის საანგარიშო პერიოდში.

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მარლენ ნადირაძის

ამომრჩევლებთან შეხვედრის დამადასტურებელი

ოქმი

ქ. გორი 2022 წლის 31 ოქტომბერი.

სხდომას ესწრებოდნენ :

საკრებულოს თავმჯდომარე: დავით რაზმაძე;

ფრაქცია ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო"- ფრაქციის თავმჯდომარე: კობა ბერიანიძე;

საკრებულოს წევრი: მარლენ ნადირაძე;

სხდომას ასევე ესწრებოდნენ: გორის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელი ტინისხიდის ადმინისტრაციულ ერთეულში, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარი წევრი ტინისხიდის და სკრის საარჩევნო ოლქიდან, სოფელ ტინისხიდის, სოფელ ორთაშენის და სოფელ თედოწმინდის მოსახლეობა, ქალაქ გორის, წმინდაწყლის დასახლების მოსახლეობა და გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი მანანა მაისურაძე;

სხდომას თავმჯდომარეობდა: დავით რაზმაძე.

დღის წესრიგი

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მარლენ ნადირაძის 2021 წლის 3 დეკემბრიდან 2022 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით გაწეული საქმიანობის ანგარიში

სხდომის თავმჯდომარემ დამსწრე პირებს წარუდგინა საკრებულოს წევრი მარლენ ნადირაძე და გააკეთა განმარტება, რომ საკრებულოს ყველა წევრი ვალდებულია წელიწადში ერთხელ მაინც, არაუგვიანეს 1 ნოემბრისა, ამომრჩეველს წარუდგინოს ანგარიში გაწეული საქმიანობის შესახებ, ანგარიშის განხილვისას უპასუხოს ამომრჩეველთა მიერ დასმულ შეკითხვებს.

სხდომის დღის წესრიგის მიხედვით სხდომის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა საკრებულოს წევრს მარლენ ნადირაძეს, რომელმაც დეტალურად ისაუბრა 2021 წლის 3 დეკემბრიდან 2022 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით განვლილ პერიოდიში მის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ. აღნიშნა ის გამოწვევები და მიღწევები რაც თან ახლდა ამ პრობლემების მოგვარებას. მოსახლეობის მხრიდან დაისვა შეკითხვები, რომლებიც ძირითადად ეხებოდა ინფრასტუქტულულ და სოციალურ პრობლემებს. საკრებულოს წევრმა მარლენ ნადირაძემ აღნიშნა, რომ იგი აქტიურადაა ჩართული მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტის შედგენის და პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადების პროცესში, სადაც ასევე იქნება ასახული მოსახლეობის ის მოთხოვნები რომელთა განხორციელებაც ვერ მოხერხდა მიმდინარე წლის ბიუჯეტით.

აზრი გამოთქვეს: დავით რაზმაძემ, დავით ავაზნელმა, ვერიკო ყაზარაშვილმა, გენადი მთიულიშვილმა, როიშან აღჩანოღლმა, ბუხუტი შავიძემ და ნონა ტატულაშვილმა.

გადაწყვიტეს: პრობლემების გამოვლენის და აღმოფხვრის მიზნით, გაიზარდოს მოსახლეობის ჩართულობა, რისთვისაც უფრო სისტემატიური ხასიათი მიიღოს საკრებულოს წევრების და ამომრჩევლების ურთიერთშეხვედრებმა და ურთიერთ თანამშრომლობამ.

სხდომის თავმჯდომარე: დავით რაზმაძე;

საკრებულოს წევრი : მარლენ ნადირაძე;